

2006

**შპს საქართველოს
სახელმწიფო
ელექტროსისტემა**

დამოუკიდებელ აუდიტორთა ანგარიში
და ფინანსური ანგარიშგება
2006 წლის 31 დეკემბრით დასრულებული
წლისათვის

შპს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა

სარჩევი

გვერდი

ხელმძღვანელობის ანგარიში 2006 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე	1
დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა	2-3
ფინანსური ანგარიშგება 2006 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:	
ბალანსი	4
მოგება-ზარალის ანგარიშგება	5
ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ	6
ფულადი სახსრების ანგარიშგება	7
ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები	8-28

**ხელმძღვანელობის ანგარიში 2006 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
მომზადებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე**

წინამდებარე ანგარიში განიხილება მე-2 და მე-3 გვერდზე არსებული დამოუკიდებელ აუდიტორთა ანგარიშში აღწერილ დამოუკიდებელ აუდიტორთა ვალდებულებებთან ერთად იმ მიზნით, რომ გაემიჯნოს ხელმძღვანელობისა და დამოუკიდებელ აუდიტორთა პასუხისმგებლობა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის ("კომპანია") ფინანსური ანგარიშგებასთან მიმართებაში.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჯგუფის ნაერთი ბალანსის, მოგება ზარალის, ფულადი სახსრების მოძრაობისა და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების წარდგენაზე, ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად 2006 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული საბუღალტრო პრინციპების შერჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- ბუღალტრული შეფასებების შესაბამისობისა და მართებულობის უზრუნველყოფაზე;
- ფასს-ის მოთხოვნების სრულად შესრულებაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ფინანსურ ანგარიშგებაში მნიშვნელოვანი გამონაკლისების ახსნა-განმარტებაზე; და
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც არ ივარაუდება, რომ კომპანია გააგრძელებს საქმიანობას მომავალში.

ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური და მოქნილი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე
- ისეთი საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას, და ასევე ფინანსური ანგარიშგების ფასს-ს მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების მიზნით საჭირო ქმედებების განხორციელებასა და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

2006 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილ იქნა გამოსაშვებად 2007 წლის 13 აგვისტოს აღმასრულებელ დირექტორთა მიერ.

აღმასრულებელ დირექტორთა სახელით

გენერალური დირექტორი/ რეაბილიტაციის მენეჯერი
ქოზეფ კორბეტი

13 აგვისტო 2007

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის მფლობელს:

ჩვენ დაგვევალა შპს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის ("კომპანია") მიერ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2006 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგენილ ბალანსისა და ამ თარიღით დასრულებული წლის მოგება-ზარალის, ფულადი სახსრების მოძრაობისა და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებისაგან, აგრეთვე გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პრინციპებისა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნებისაგან.

კომპანიის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ წინასწარი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას; აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და დანერგვას და მოცემულ გარემოებებისათვის შესაბამისი და დასაბუთებული ბუღალტრული შეფასებების გაკეთებას.

დასკვნაზე უარის საფუძველი

კომპანიასა და საქართველოს ეროვნულ ბანკს შორის 2003 წლის 21 იანვარს დადებული გრძელვადიანი სასესხო ხელშეკრულების საფუძველზე (შენიშვნა №17) კომპანიას დაკისრებული აქვს ძირითადი თანხის, მასზე დარიცხული პროცენტის და ჯარიმის გადახდის ვალდებულება. სესხი შეადგენს 8,618,574 ევროს (18,314,470 ლარი) და უკავშირდება Kreditanstalt für Wiederaufbau-ს ("KfW") მიერ საქართველოს ხელისუფლებისათვის ენერჯეტიკის სექტორის სარეაბილიტაციოდ 1995-1996 წლებში გაცემულ სესხებს. 2006 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სესხის ფარგლებში ეროვნული ბანკისათვის გადასახდელმა თანხამ შეადგინა 8,829,737 ევრო (19,921,653 ლარი). კომპანიამ მიმართა სასამართლოს ხელშეკრულების გაუქმების მიზნით, რადგან თავდაპირველი სესხები კომპანიის წინამორბედ იურიდიულ პირებს არ მიუღიათ და სასესხო ხელშეკრულება არ შეესაბამებოდა საქართველოს კანონმდებლობას. ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებები არ იქნა აღიარებული თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

კომპანია ვალდებულია გადაიხადოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ უზრუნველყოფილი სახელმწიფო გარანტიით გაცემული სესხის თანხა შპს ელექტროდისპენჩერიზაციასა (კომპანიის წინამორბედი იურიდიული პირი) და ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკს ("EBRD") შორის 2001 წლის 21 დეკემბერს დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. სესხი უკავშირდება შპს ენგურჰესის საკუთრებაში მყოფი ჰიდროელექტროსადგურის სარეაბილიტაციო სამუშაოებს (შენიშვნა №17). 2006 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სესხის ფარგლებში საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის გადასახდელმა თანხამ შეადგინა 19,240,688 აშშ დოლარი (32,968,919 ლარი). სასესხო ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებები არ იქნა აღიარებული თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

ჩვენ ვერ შევძელით დაგვედგინა კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვის მართებულობა ვალდებულებების მიმართ, რომლებიც განსაზღვრულია ზემოთ აღნიშნული ორი სასესხო ხელშეკრულებით.

კომპანიამ ვერ შეძლო ჩვენთვის წარმოედგინა შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები, რის მიხედვითაც მოახდინა საწესდებო კაპიტალში შემავალი 13 312 ლარის ქონების, ობიექტის და მოწყობილობების შეფასება. (შენიშვნა 9). შესაბამისად, ჩვენ ვერ დავრწმუნდით ძირითადი საშუალებების ღირებულებისა და 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული აკუმულირებული ცვეთის თანხების სიზუსტეში, აგრეთვე 2006 წლის განმავლობაში არსებული ცვეთის ხარჯისა და საწესდებო კაპიტალში შენატანების სიზუსტეში 2006 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ჩვენ აგრეთვე ვერ მოვახერხეთ დაგვედგინა ჰქონდა თუ არა და რა გავლენა ჰქონდა, აღნიშნულ უზუსტობას 2006 წლის 31 დეკემბრის ქონების საგადასახადო ვალდებულებაზე და ქონების გადასახადის ხარჯზე წლის განმავლობაში.

შემოსავლის შეფასებისას, კომპანია არ ითვალისწინებდა საქართველოს ელექტროენერჯის საბითუმო ბაზრისათვის გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღების შესაძლებლობას. ჩვენი მოსაზრებით ეს არ შეესაბამება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტს ("ბასს") №18 – შემოსავალი. ჩვენი აზრით, ბასს №18-თან შესაბამისად, აღიარებული შემოსავალი უნდა შემცირდეს 19,828 ათასი ლარით, რომელიც წარმოადგენს კომპანიის მიერ საქართველოს ელექტროენერჯის საბითუმო ბაზრისაგან საეჭვო მოთხოვნებზე წლის განმავლობაში შექმნილ რეზერვს.

კომპანია თავის ფინანსურ ვალდებულებებს არ ასახავს ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, როგორც ეს მოთხოვნილია ბასს 39-ით "ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება". კომპანიის ჩანაწერების ბუნებიდან გამომდინარე ჩვენ ვერ შევძელით დაგვედგინა კომპანიის გრძელვადიანი ვალდებულებების ღირებულება

ჩვენ აგრეთვე ვერ შევძელით დაგვედგინა რა სახის გავლენა შეიძლება, (თუ კი ექნება) ჰქონდეს ზემოთ აღნიშნულ ანგარიშებს მიმდინარე და გადავადებულ საშემოსავლო გადასახადებზე 2006 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

კომპანიამ ვერ შეძლო ყველა მასთან დაკავშირებული მხარის განსაზღვრა და მათ შორის არსებული კავშირის ხასიათის დადგენა, აგრეთვე მათთან წარმოებული ტრანზაქციების რაოდენობის განსაზღვრა, რაც ჩვენის აზრით არის (ბასს) 24-ე სტანდარტის დარღვევა – დაკავშირებული მხარის გამოვლენა

ზემოთ განხილული საკითხების მნიშვნელოვნობიდან გამომდინარე ჩვენ ვერ გამოვხატავთ ჩვენს მოსაზრებას კომპანიის ფინანსური ანგარიშგების შესახებ.

საკითხის მნიშვნელოვნება

ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ 21-ე შენიშვნაზე, რომელიც მიუთითებს, რომ კომპანიამ 2006 წლის განმავლობაში განიცადა წმინდა ზარალი 4,421 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო 2006 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის კაპიტალის დეფიციტმა შეადგინა 107,582 ათასი ლარი. 21-ე შენიშვნაში აღნიშნული გარემოებები მიუთითებს მნიშვნელოვან განუსაზღვრელობაზე, რომელმაც შეიძლება ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის შესაძლებლობა გაარქელოს მისი საქმიანობა ფუნქციონირებადობის პრინციპით. ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს კორექტირებებს, რომელიც შესაძლოა გამოწვეული იყოს ამ გაუსაზღვრელობით.

1410.
- 143

შპს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა

ბალანსი
2006 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ათას ლარში)

	შენიშვნა	2006	2005
აქტივები			
ბრძელვადიანი აქტივები:			
ძირითადი საშუალებები, წმინდა	9	95,714	81,318
საინვესტიციო ქრება	10	737	737
არამატერიალური აქტივები, წმინდა		79	80
		<u>96,530</u>	<u>82,135</u>
მოკლევადიანი აქტივები:			
ფული და ფულის ექვივალენტები	5	6,550	1,579
საეაჭრო მოთხოვნები, წმინდა	6	4,906	4,490
მარაგები	7	3,762	4,403
სხვა მოთხოვნები, წმინდა	8	8,567	7,157
		<u>23,785</u>	<u>17,629</u>
სულ აქტივები		<u>120,315</u>	<u>99,764</u>
კაპიტალის დეფიციტი და ვალდებულებები			
კაპიტალის დეფიციტი:			
საწესდებო კაპიტალი		376,884	349,770
დაგროვილი დეფიციტი		<u>(484,466)</u>	<u>(480,045)</u>
სულ კაპიტალის დეფიციტი		<u>(107,582)</u>	<u>(130,275)</u>
ბრძელვადიანი ვალდებულებები:			
საეაჭრო და სხვა დავლიანება	11	18,077	18,817
გრძელვადიანი სესხები და ნასესხები სახსრები გასაცემი	14	64,817	55,151
გადასახადები და საგადასახადო ჯარიმები	12	64,109	69,390
დარიცხული და სხვა ვალდებულებები	13	8,786	21,473
გადავადებული შემოსავლები	15	6,871	7,401
გადავადებული მოგების საგადასახადო ვალდებულება	16	8,208	4,912
მიმდინარე მოგების საგადასახადო ვალდებულება	16	40,338	39,538
		<u>211,206</u>	<u>216,682</u>
მოკლევადიანი ვალდებულებები			
საეაჭრო და სხვა დავლიანება		7,165	5,041
გასაცემი ხელფასები		5,126	7,440
გადასახადები და საგადასახადო ჯარიმები	12	3,102	704
დარიცხვები და სხვა ვალდებულებები	13	261	172
მოგების საგადასახადო ვალდებულება	16	1,037	-
		<u>16,691</u>	<u>13,357</u>
სულ ვალდებულებები		<u>227,897</u>	<u>230,039</u>
სულ ვალდებულებები და აქციონერთა კაპიტალი		<u>120,315</u>	<u>99,764</u>

აღმასრულებელ დირექტორთა სახელით

გენერალური დირექტორი/ რეაბილიტაციის მენეჯერი

13 აგვისტო 2007

8-28 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელ აუდიტორთა ანგარიში წარმოდგენილია მეორე და მესამე გვერდზე

შპს საქართველო სახელმწიფო ელექტროსისტემა

მოგება-ზარალის ანგარიშგება
2006 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
(ათას ლარში)

	შენიშვნა	2006	2005
შემოსავალი გაყიდვებიდან სხვა შემოსავალი	17	54,446 2,963	68,750 3,809
სულ შემოსავლები		57,409 ✓	72,559
გაუფასურების რეზერვი საეჭრო და სხვა მოთხოვნებზე ცვეთა და ამორტიზაცია		(25,113) (12,565)	(49,945) (13,387)
ხელფასები და დანახარჯები პერსონალზე		(6,718)	(9,623)
საოპერაციო გადასახადები და ჯარიმები		(2,884)	(15,575)
საპროცენტო ხარჯები		(2,271)	(1,716)
ელექტროენერჯის ბაზრის მხარდაჭერის პროექტის ხარჯები		(1,861)	(4,988)
რემონტი და მოვლა-შეკეთება		(367)	(1,101)
დაცვა		(325)	(296)
ქონების, ობიექტის და მოწყობილობის გაუფასურება სხვა		- (1,819)	(175) (3,297)
სულ ხარჯები		(53,923)	(100,103)
გაუფასურების რეზერვის აღდგენა საეალუტო კურსის ცვლილებით მიღებული მოგება, წმინდა		- (1,574)	784 4,178
სულ სხვა შემოსავლები		(1,574) ✓	4,962
წმინდა ზარალი მოგების გადასახადის გადახდამდე		1,912	(22,582)
საშემოსავლო გადასახადის ხარჯი	16	(6,333)	(13,085)
წმინდა ზარალი		(4,421)	(35,667)

აღმასრულებელ დირექტორთა სახელით

გენერალური დირექტორი/ რეაბილიტაციის მენეჯერი

13 აგვისტო 2007

8-28 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელ აუდიტორთა ანგარიში წარმოდგენილია მეორე და მესამე გვერდზე

შპს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა

ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ
2006 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათას ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი დეფიციტი	სულ
31 დეკემბერი 2004	393,904	(444,378)	(50,474)
აპიტალის ამოღება წმინდა ზარალი	(44,134)	-	(44,134)
	<u>-</u>	<u>(35,667)</u>	<u>(35,667)</u>
31 დეკემბერი 2005	349,770	(480,045)	(130,275)
კაპიტალის გაზრდა წმინდა დანაკარგები	27,114	-	27,114
	<u>-</u>	<u>(4,421)</u>	<u>(4,421)</u>
31 დეკემბერი 2006	<u>376,884</u>	<u>(484,466)</u>	<u>(107,582)</u>

აღმასრულებელ დირექტორთა სახელით

გენერალური დირექტორი/ რეაბილიტაციის მენეჯერი

13 აგვისტო 2007

8-28 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.
დამოუკიდებელ აუდიტორთა ანგარიში წარმოდგენილია მეორე და მესამე გვერდზე

შპს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა

ფულადი სახსრების მოძრაობის ანბარიზაცია
2006 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ათას ლარში)

	Notes	2006	2005
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან:			
ზარალი მოგების გადასახადის გადახდამდე კორექტირებები:		1,912	(22,582)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები		12,565	13,387
ძირითადი საშუალებების გაუფასურება		-	175
ძირითადი საშუალებების გაუფასურების ზარალის აღდგენა		-	(784)
გაუფასურების რეზერვი საეაჭრო და სხვა მოთხოვნებზე		25,113	49,945
არარეალიზებული (მოგება)/ზარალი საეაღუტო კურსის ცვლილებაზე		831	(3,476)
შესყიდვის დისკონტი		(2,128)	-
გადაედებული შემოსავლების ამორტიზაცია		(529)	(529)
მოგების გადასახადის ჯარიმა		-	3,966
საპროცენტო ხარჯები, წმინდა		2,262	1,716
		<hr/>	<hr/>
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებამდე		40,026	41,818
ცვლილებები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებამდე (ზრდა)/კლება საოპერაციო აქტივებში:			
საეაჭრო მოთხოვნები		(26,228)	(51,053)
მარაგები		641	(2,415)
სხვა მოთხოვნები		(685)	5,484
ზრდა/(კლება) საოპერაციო ვალდებულებებში:			
საეაჭრო და სხვა დავალიანება		1,384	4,570
გასაცემი ხელფასები		(2,314)	184
დარიცხული და სხვა ვალდებულებები		89	624
გადასახადები და საგადასახადო ჯარიმები		(2,883)	12,234
რესტრუქტურირებული საგადასახადო ვალდებულებები		-	(5,980)
		<hr/>	<hr/>
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან მოგების გადასახადის გადახდამდე		10,030	5,466
გადახდილი მოგების გადასახადი		(1,200)	(40)
გადახდილი პროცენტი, წმინდა		(2,122)	-
		<hr/>	<hr/>
წმინდა ფულადი სახსრების მოძრაობა		6,708	5,426
ფულადი სახსრების შემოსვლა საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შექენა		(8)	(4,079)
		<hr/>	<hr/>
წმინდა ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან		(8)	(4,079)
ფულადი სახსრების შემოსვლა საფინანსო საქმიანობიდან			
ძირი თანხის გადახდა გრძელვადიან ვალდებულებებზე		(1,729)	-
		<hr/>	<hr/>
წმინდა ფულადი სახსრების მოძრაობა საფინანსო საქმიანობიდან		(1,729)	-
		<hr/>	<hr/>
ფულის და ფულის ემვივალენტების წმინდა ზრდა		4,971	1,347
ფული და ფულის ემვივალენტები წლის დასაწყისში	5	1,579	232
ფული და ფულის ემვივალენტები წლის ბოლოს	5	6,550	1,579

აღმასრულებელ დირექტორთა სახელით

13 აგვისტო 2007

შპს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდაართული შენიშვნები
2006 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ათას ლარში)

1. ორგანიზაცია

შპს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა (შემდგომში "კომპანია") დაარსდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სს ელექტროგადაცემისა და შპს ელექტროდისპეტრეზაცია-2000-ის შერწყმის გზით. კომპანია დარეგისტრირდა 2002 წლის 12 ნოემბერს ვაკე-საბურთალოს რაიონის რეგიონალურ სასამართლოში. კომპანიის ერთადერთი მფლობელია საქართველოს სახელმწიფო, წარმოდგენილი საჯარო სამართლის იურიდიული პირის "საწარმოთა მართვის სააგენტოს" სახით. სააგენტო ზედამხედველობას უწევს კომპანიის საქმიანობას, პრივატიზაციისა და კაპიტალის განკარგვის საკითხების გარდა, რომელიც საქართველოს ეკონომიკის განვითარების სამინისტროს პრეროგატივაა.

კომპანიის ოფიციალური მისამართი: საქართველო, თბილისი, 0105, ბარათაშვილის ქუჩა №2.

2002 წლის 18 ივნისს საქართველოს ხელისუფლებამ, წარმოდგენილმა საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს სახით, სს ელექტროგადაცემამ, შპს ელექტროდისპეტრეზაცია-2000-მა და ი-ეს-ბი-აი ჯორჯია ლიმიტედმა დადეს ხელშეკრულება კომპანიის მართვის შესახებ. ამ ხელშეკრულებას ხელი მოეწერა საქართველოს ელექტროენერჯის ბაზრის მხარდამჭერი პროექტის ("EMSP") ფარგლებში, რომელიც ფინანსდება განვითარების საერთაშორისო ასოციაციისა ("IDA") და რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის ("KfW") მიერ. კონტრაქტის საფუძველზე 2003 წლის 3 მარტს სამთვიანი გარდამავალი პერიოდის დასრულების შემდგომ ი-ეს-ბი-აი ჯორჯია ლიმიტედი შეუდგა კომპანიის მართვას. ელექტროენერჯის ბაზრის მხარდამჭერი პროექტი მიზნად ისახავს ელექტროენერჯით მომარაგების, ფინანსური და კორპორატიული მართვის გაუმჯობესებას ენერგეტიკის სექტორში.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა მოიცავს ელექტროენერჯის გადაცემას და დისპეტრეზაციას საქართველოს ტერიტორიაზე, რომელიც რეგულირდება კანონით ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ. 2002 წლის 20 დეკემბერს საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიისაგან ("სემეკი") კომპანიას მიღებული აქვს უვადო ლიცენზიები ელექტროენერჯის გადაცემაზე №12-004 და დისპეტრეზაციაზე №13-004.

სემეკის დადგენილებების შესაბამისად, კომპანია ძირითადად ვაჭრობდა ელექტროენერჯის გამომწევაზე, გადამცემ და გამანაწილებელ კომპანიებსა და პირდაპირ მომხმარებლებს შორის შუამავალი რგოლის, საქართველოს ელექტროენერჯის საბითუმო ბაზრის ("სესბი") მეშვეობით. სესბი თავისმხრივ განიცდის ფინანსურ სირთულეებს და 2006 წლის 1 სექტემბრიდან მას აღარ აქვს შუამავლის დანიშნულება. ენერგეტიკის სექტორში ანგარიშსწორების უზრუნველყოფის მისი ძირითადი ფუნქცია შეწყვეტილია, ხოლო სექტორის ყველა საწარმო ვალდებულია დადოს პირდაპირი სავაჭრო ხელშეკრულებები.